ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №226

2016 წლის 29 დეკემბერი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები

„ ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა

ტრანსპორტირების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები„ ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების პროგრამა“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს

(ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროგრამა

2017 წელი

ზომის ერთეული -ლარი

1. პროგრამის სახელწოდება

ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი

" 1 იანვარი" 2017 წ.
" 31 დეკემბერი " 2017 წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

27700 (ოცდაშვიდიათას შვიდასი ლარი)

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი _ ადგილობრივი ბიუჯეტი	27700	ლარი
ბ) დამატებითი	0	ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6

პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/ და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე 130 ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირის შპს "უნიმედი აჭარას" ჩაქვის სამედიცინო ცენტრში, ასოციაცია „გენეზის"-ში, „ქ. ბათუმის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრ"-ში, ა(ა)იპ სამედიცინო ასოციაცია „თანა"-ში, შპს „სანიტას"-ში, ა(ა)იპ აბილიტაციის და განვითარების ცენტრში" ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის მატერიალურ დახმარებას. წელიწადში 1 პაციენტს და თანმხლებ პირს დაუფინანსდება არაუმეტეს 7 კურსისა (1 კურსი - 10 დღე). შპს "უნიმედი აჭარას" ჩაქვის სამედიცინო ცენტრში რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ბენეფიციარებისათვის თანხა გაიცემა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში თანხა გაიცემა მოჭრით - ერთ ბენეფიციარზე (თანმხლებ პირთან ერთად) 8 ლარი ერთ ვიზიტზე. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა , უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისა და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვა შპს "უნიმედი აჭარას" ჩაქვის სამედიცინო ცენტრში რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად მოხდება საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში თანხა გაიცემა მოჭრით - ერთ ბენეფიციარზე (თანმხლებ პირთან ერთად) 8 ლარი ერთ ვიზიტზე.	ბენეფიციართა რაოდენობა ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. **პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	განცხადებების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	თანხის გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. **პროგრამის ბიუჯეტი**

ა)პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
1	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	27700			27700
2	დამატებითი					0
	სულ		27700	0	0	27 700

ბ)პროგრამის ხარჯები ღონისძიებეთა მიხედვით

2017 წელი	
	სოციალური უზრუნველყოფა
ბავშვთა აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხარჯები დაბის, თემისა და სოფლების მიხედვით	

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	მგზავრობის თანხა ერთ ბენეფიციარზე თანმხლებ პირთან ერთად	ვიზიტების რაოდენობა	ერთ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში გასაცემი თანხა
1	ქ. ქობულეთი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	4,00	70	**280,00**

2	ჩაქვი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	2,00	70	140,00
3	სოფ.ქობულეთის თემი -შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	8,00	70	560,00
4	აჭყვისთავი, ზენითი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	8,00	70	560,00
5	ციხისძირის თემი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	2,00	70	140,00
6	ხალას თემი -შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	2,00	70	140,00
7	ჩაისუბანი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	4,00	70	280,00
8	საჩინოს თემი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	2,80	70	196,00
9	ბუკნარი , სახალვაშო - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	4,00	70	280,00
10	კვირიკეს თემი, გვარას თემი, ალამბრის თემი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	7,20	70	504,00

11	ხუცუბნის თემი, მუხაესტატე, - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	6,00	70	420,00
12	დაგვა, ჭახათის თემი, ლეღვას თემი, წყავროკა, ქაქუთის თემი- შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	8,00	70	560,00
13	დაბა ოჩხამურის თემი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	8,00	70	560,00
14	ბობოყვათის თემი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	6,00	70	420,00
15	ქობულეთის მუნიციპალიტეტი - ასოციაცია „გენეზისი“, „ქ. ბათუმის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი“, ა(ა)იპ სამედიცინო ასოციაცია „თანა“, შპს „სანიტასი“, ა(ა)იპაბილიტაციისდა განვითარების ცენტრი“	ბენეფიციარი	8,00	70	560,00

დამატებითი ინფორმაცია

ა)დახმარების გაცემა მოხდეს 2017 წლის იანვრის თვიდან 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით.

ბ) გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტლების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური დაყოფა.

დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

I კვარტალი 6 930 ლარი; II კვარტალი 6 930 ლარი;
III კვარტალი 6 930 ლარი; IV კვარტალი 6 910 ლარი.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

წარმოსადგენი დოკუმენტები:
1. განცხადება გამგებლის სახელზე;
2. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
3. მშობლების ან მეურვის პირადობის მოწმობების ასლები;
4. ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ვაუჩერი (ასლი) ან/და სამედიცინო დაწესებულებიდან ბენეფიციარის მიერ რეაბილიტაციის კურსების ჩატარების დამადასტურებელი რეესტრი;
5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგამგებლის წარმომადგენლის წერილობითი ინფორმაცია ბენეფიციარის საცხოვრებელ ადგილითან კავშირებით.

გ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

შპს„უნიმედი აჭარას“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრიდან ასოციაცია „გენეზის“-დან, „ქ. ბათუმის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი“-დან, ა(ა)იპ სამედიცინო ასოციაცია „თანა“-დან, შპს „სანიტასი“-დან, ა(ა)იპ აბილიტაციის და განვითარების ცენტრი“-დან წარმოდგენილი ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე გაწეული მომსახურების დამადასტურებელი რეესტრის ან/და ბენეფიციარის მშობლის ან მეურვის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური მიმართავს გამგებელს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე ტრანსპორტის ხარჯების გაწევის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახური გამგებლის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს შესაბამის ანგარიშზე თანხას.

დ)პროგრამა ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისა და თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯებს დაბისა და სოფლების მიხედვით, საცხოვრებელი ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებამდე და სამედიცინო დაწესებულებიდან საცხოვრებელ ადგილამდე.